№ 181

კვირა, 20 აგვისტო, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 181

კვირა, 20 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შაბათს, 26 მარიამობისთვეს, 10 საათზე, მეორმოცე დღეს

## ილიას ლუკას ძის ბახუაძის

გარდაცვალებისას, ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მამა, დედა, დანი და ძმანი მიცვალებულისა ატყობინებენ მეგობართ, ნათესავთ, ნაცნობთ და ისის ნიჭის პატივისმცემელთ. (3—უ.—1)

## ჩაი

მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის სასახლის ვაჭარი.

1900 წლის მოსავალი

ჩაის სავაჭრო ამხანაგობა

ვ. ვისოცკისა და ამხ.

მოსკოვი

სავაჭრო მარკა მთავრობის მიერ დამტკიც.

ეს ჩაი ყველა საუკეთესო მაღაზიებს გაეგზავნა გასასყიდად.

საკუთარი განყოფილება იმიერ-კავკასიისა და ამიერ-კასპიის მხრისათვის ტფილისში, მეიდანი, სახლი ზაიანდუროვისა. (5—160—1)

## ტფილისის საკომერციო სასწავლებელი

აცნობებს მშობლებსა დაოპეკუნებს, რომ ამ შემოდგომაზედ **მისაღები ეგზამენები** დანიშნულია სექტემბრის პირველ რიცხვებში, რაიც ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთებში. (5—ნ.—3).

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა **იწვევს მსურველთ**

## თეატრში სამსახურისათვის.

სურველთ უნდა მიჰმართონ ბ-ნ ვ. **გუნიას**, საზოგადოების კანტორაში თავად-აზნაურთა ქარვასლა, თეატრის გვერდზედ), ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან პირველ საათამდე. (3—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. **ჭიჭინაძე**.—გზილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. **პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. **მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

მ. გ. **წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 12 ნ—1 საათ.

მ. ლ. **მარკოვიჩი**—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. საღოსტაქრო.

ი. დ. **გუგთაბეგოვი**—საფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანტოვის მეგიდის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. **ნავასარდიანი**, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. **ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაგანახიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. **ქარაპეტიანცი** $1$—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ბ. ა. **ნავასარდიანი**. $7^{1}/_{2}$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

## ქ-ნი ნასიძისა

კვლავინდებურად **იუვანს ბავშვებს** სხვა-და-სხვა **სასწავლებლისათვის**

## მოსამზადებლად.

ადრესი: ანდრეევის ქუჩა, № 23. (6—158—2)

## კანტორა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—4)

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მემამულეთაგანს**, ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს**, ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—ნ.—2)

ქალების კერძო პროგიმნაზია

## ქუთაისში

აცხადებს, რომ ხელ-ახალი ეგზამენები მოხდება 24, 25 და 26 აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს; სწავლა დაიწყება 4 ენკენისთვეს. (3—163—1)

## ხიზანთა კანონის განმარტებანი და დამატებანი

სახელმწიფო საბჭომ, კანონთა, სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა, სახელმწიფო ეკონომიისა და მრეწველობისა, მეცნიერებისა და ვაჭრობის დეპარტამენტების შეერთებულს საკრებულოში და საზოგადო კრებაზედ, განიხილა რა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი უმაღლესად 1891 წლის 3 ივნისს დამტკიცებულ ტფილისისა და ქუთაისის მაზრების ხიზანთა დებულების განმარტებანი და დამატებანი,—დაადგინა:

I. განიმარტოს: ა) რომ 1891 წლის 3 ივნისის უმაღლესად დამტკიცებულ ტფილისისა და ქუთაისის მაზრების ხიზანთა დებულების 1 მუხ. საფუძველით (კანონთა კრებული ტ. მე IX, განსაკუთ. დამატ. მე-XX, განგრძ. 1891 წ., დამატ. 1 მუხ. მე-4 შენიშვნისა), ხიზნებად ცნობილ იქმნებიან მხოლოდ ის გლეხნი—მიწის მომქმედნი, რომელნიც დასახლებულან საბატონო მამულებზედ ხიზანთა ადათისამებრ, თვით მამულის მფლობელთა თანხმობით, და ბ) რომ რაოდენობა იმისა, თუ როგორ უნდა სარგებლობდეს ხიზანი საბატონო მამულითა და საქონლის წყალითა და საბალახეთი, სათიბით და სამყოფ ტყით, 1891 წ. 3 ივნისს დებულების მე-2 მუხ. ძალით, თუ უკადო წერილობითი პირობა არა აქვთ დადებული,—იმავე ადათის შესაფერად უნდა იქმნას გამორკვეული.

II. უმაღლესად 1891 წ. 3 ივნისის დამტკიცებულ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ხიზანთა დებულების ზოგიერთ მუხლთა შესაცვლელად და დასამატად დადგენილ იქმნას:

1) თუ მამულის მფლობელი ნებას არ მისცემს ხიზანს, რომ მან თავისნი უფლებანი და მოვალეობანი თვის მიერ ამორჩეულს კაცს გარდასცეს,—შეაჩერებს რა ამ გარდაცემას, მამულის მფლობელმა ესე უნდა აცნობოს მომრიგებელ-შუამავალს, რომლისაგანაც არის დამოკიდებული ნება-დართვა ანუ აღკრძალვა ასეთის გარდაცემისა. თუ გინიცობაა მომრიგებელმა-შუამავალმა აღუკრძალა გარდაცემა და ხიზანმაც უარი სთქვა საბატონო მიწის სარგებლობისაგან, მამულის მფლობელი ვალდებულია დააჯილდოვოს ხიზანი მასთან საურთიერთო მორიგებით, ხოლო თუ ასეთი მორიგება არ მოხდა, მაშინ ამა განყოფილების მე-2 მუხლ. საფუძვლით, ისე კი, რომ ამ მუხლში ნაჩვენებ სასყიდლის რაოდენობის ნახევარი მისცეს.

2) თუ მამულის მფლობელმა უარი უთხრა ხიზანს და მიწა აღარ დაანება სასარგებლოდ, უნდა დააჯილდოვოს და იმდენი გარდაუხადოს, რამდენზედაც ერთმანერთ შორის მორიგდებიან. ხოლო თუ ასეთი მორიგება არ მოხდა, მაშინ მამულის მფლობელმა ხიზანს უნდა გარდაუხადოს განსაკუთრებულ დაფასებისამებრ, რომელიც უნდა მოხდეს 1891 წ. 3 ივნისის დებულების მე-8 მუხ. თანახმად, დირებულება მიწის მფლობელის მამულზედ არსებულ შენობებისა, სამეურნეო მოწყობილებათა და დანარგავისა. ის ხარჯი, რომელიც ხიზანს გაუწევია მის სარგებლობაში მყოფ სამოსახლო, სახნავ-სათიბ და საბალე ადგილების გასაუმჯობესებლად, მიწის მფლობელის მიერ არ ადგიდგინება.

3) თუ გინიცობაა ხიზანმა შეიძინა მის სარგებლობაში მყოფი მიწება, მაშინ მიწის მფლობელთან მორიგების თანახმად, ამ მიწების შესახებს ნასყიდობის წერილს გარდასდება მარტო უბრალო გზით, გარდასახადი და დამტკიცებას დროს განთავისუფლებულ იქმნებიან როგორც მამულის მფლობელნი, ისე ხიზანნი ნასყიდობის სიმტკიცეს გარდასახადისაგან. ამას გარდა, გერბის გარდასახადისაგანვე განთავისუფლებულ იქმნება მთელი საქმის წარმოება, ხიზანთა მიერ ხსენებულ მიწების შეძენის შესახებ დაწყებული.

4) მიწის მფლობელთა და ხიზანთა საურთიერთო უფლება-მოვალეობათა გამოსარკვევად მომრიგებელმა შუამავალმა ადგილობრივ ოქმი უნდა შეადგინოს.

5) თუ გინიცობაა მამულის მფლობელი და ხიზანი უკადო წერილობითის ხელ-შეკრულობით შეეკრნენ ერთმანერთს 1891 წ. 3 ივნისის დებულების მე-2 მუხ. შენიშვნის თანახმად, მაშინ ამ ხელ-შეკრულობის პირობანი უნდა აღინიშნოს ოქმში (მუხ. მე-4). ხოლო თუ ისეთი წერილობითი ხელშეკრულობა არა არსებობს, მომრიგებელ-შუამავალმა ოქმი უნდა შეადგინოს ორივე მხრის ნათქვამის თანახმად, გარეშე გვითალ სინიდისიერ მოწმეთა თანადასწრებით.

6) იმ მხარეს, რომელიც კმაყოფილი არ იქნება ოქმით, შეუძლიან ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს საგუბერნიო მმართველობის საგლეხო საქმეთა საკრებულოში, რომელმაც უნდა გარდასწყვიტოს, ოქმის რომელი ნაწილი უნდა იქმნას შეცვლილი.

7) წესი ოქმის შედგენისა და აგრეთვე გზა, რომლის განმავლობაშიაც მუშაობა ხიზანთა დამოკიდებულებათა გამოსარკვევად ყველგან უნდა დაბოლოვდეს, დადგენილ იქმნება კავკასიის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთ ნაწილის მთავარ-მართებლის მიერ, ისე კი, რომ განზრახულებანი ამ საგნის შესახებ ადრევე განიხილოს მთავარ-მართებლის საბჭომ.

8) თუ ვინიცობაა, ოქმის შედგენის შემდეგ (მუხ. მე-4), მიწის მფლობელისა და ხიზანს შორის საურთიერთო მორიგების თანახმად, 1891 წ. 3 ივნისის დებულების მე-5 მუხ. საფუძველით, რაიმე ცვლილებანი მოხდა ხიზანთა მიერ მიწის სარგებლობისა და მასთან შეერთებულ უფლება-მოვალეობათა საქმეში, ან თუ ხიზანმა თავისნი უფლება მოვალეობანი სხვას გარდასცა, ეს გარემოება უნდა განეცხადოს მომრიგებელ-შუამავალს ოქმში აღსანიშნავად.

III. ამავე დაწესებულების მე 5 მუხლის უკანასკნელი ნაწილი და მე-7 მუხლი გაუქმებულ იქმნას, მაგრამ დარჩეს მხოლოდ მე 7 მუხ. შენიშვნა.

## ახალი ამბავი

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შესაძლებლად სცნო კადეტთა კორპუსებში ექვს კლას დასრულებულნი სამექანიკო და სატეხნიკო საშუალო სასწავლებლებში იქმნენ ხოლმე უეგზამენოდ მიღებულნი; ხოლო ვისაც მარტო ხუთი კლასი ექნება დასრულებული, იმას გამოცდა ალგებრიდგან დაენიშნოს.

⁂ საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დედათა გიმნაზიებსა და დედათა სხვა სასწავლებლებში ბაღოსნობის არა სავალდებულო კურსი შემოიღონ.

⁂ ლაპარაკი თურმე აღძრული იმის შესახებ, თუ რამდენად საჭირო საელექტროტეხნიკო მასალისა, ნაწარმოებთა და იარაღის საცდელად, ვიდრე გაჰყიდიდნენ, განსაკუთრებული ლაბორატორიები იქმნეს გამართული. ასეთი ლაბორატორიები შეიძლება მთავრობამაც გამართოს და სხვა-და-სხვა საზოგადოებამაცაო.

⁂ გარდაწყვეტილია უკვე სამკურნალო-სასანიტარო თვალ-ყურის დევნება იქმნეს დადგენილი იმ მუშებზედ, რომლებიც მეიჯარადრეებსა ჰყავთ დაჭერილი და ამხანაგობით მუშაობენ რუსეთის რკინის გზებზედ.

⁂ რკინის გზის უფროსს მკურნალებს უფლება აქვთ ამიერიდგან უფასოდ იმოგზაურონ რკინის გზით.

⁂ როგორც იწერებიან, კავკასიელ მეცხვარეებსა და მემატყლეებს განზრახვა თურმე აქვთ საზღვარ-გარედ ზოგიერთ დიდს სავაჭრო ქალაქში კანტორები გახსნან, რომ ამით კავკასიურს მატყლს უფრო მეტი ბაზარი გაუჩინონ ევროპაში.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს 100,000 მან. გადაუდვია იმ აზრით, რომ ამ ფულით საბეითალო ლაბორატორია იქმნეს გამართული, სადაც ბეითალები საფუძვლიანად მოემზადებიან და გაეცნობიან სხვა და სხვა ახალს აცრას საქონლის ზოგიერთა ჭირის წინააღმდეგ. იმედი აქვთ ამ ლაბორატორიიდგან ყოველ წლივ 30 გამოცდილი ბეითალი გამოვიდეს.

⁂ როგორც შევიტყეთ, სოფ. ავჭალის გლეხების მამულში, სახელდობ ღრმა-ღელეში, მარგანეცი აღმოჩენილა. ეს ამბავი გლეხებმა არ იციან. ამის გამო ორ-სამს კაცს აზრად თურმე აქვს, ვიდრე გლეხები ამას გაიგებდნენ, ეს მიწები ან სხვებზე როგორმე შეუცვალონ, ან-და შეისყიდონ.

ეჭვი არ არის, კარგი მადა გაჰხსნიათ ამ ვაჟბატონებს, თუ განზრახვა შეასრულეს.

⁂ ამ დღეებში ტფილისში გაიხსნება კერძო სასწავლებელი პანსიონით ა. ა. მამულაშვილისა.

⁂ ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, რომ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ბაღოსნობისა და სელის მოყვანის სპეციალურად მცოდნე კაცი ნ. კ. მიშენკო გამოჰგზავნა კავკასიაში იმ აზრით, რომ ადგილობრივ გამოეკვლია რა და რა ჯური ქერი უფრო კარგს ლუდს აყენებს, ან და სად შეიძლება სელის განსაკუთრებული პლანტაციები გაშენდეს. ეხლა, როგორც აღმოუჩენია გამოკვლევას, მიშენკოს აზრით, ყველაზედ უკეთესი ქერები აღმოჩენილა გუმბრისა, ახალქალაქისა და გორის მაზრაში, სახელდობრ, გუმბრისა ურწყავ სახნავების ქერი და ახალქალაქისა და გორისა ურწყავ მამულების ქერები.

⁂ გუშინ-წინ, 18 აგვისტოს, განსაკუთრებულმა კომისიამ აირჩია სტატისტიკოსი კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებასთან განზრახულ სასტატისტიკო ბიუროსათვის. ამ ადგილზედ რვა კაცმა შეიტანა თხოვნა: ბ-ნთ სვედენცოვმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, გოზალოვმა, მიხ. დანდუროვმა და სხვ.. კენჭის ყრით არჩეულ იქმნა ბ-ნი დანდუროვი. დანდუროვი დროებით იქმნა მიწვეული 1901 წლის 1 იანვრამდე. სტატისტიკოსს ჯამაგირი 1200 მანეთი ექნება წელიწადში. ამას გარდა გზის ხარჯად მიეცემა 200 მანეთი.

⁂ 17 აგვისტოს გორის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო კირიონი ახალ ციხის მაზრაში წაბრძანდა ეკკლესიების სარევიზიოდ. როგორც გვატყობინებენ, 18 აგვისტოს ყოვლად-სამღვდელო ქალაქ ახალციხეში ჩასულა.

⁂ კავკასიის ოლქის გზათა უწყების გამგეობამ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ზემო ავჭალაში ქალაქის წყლის მილამდე მტკვარში წყლის შესაკავებლად კედელი იქმნას აშენებული.

⁂ პარასკევს, 18 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის სხდომაზედ, გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა ლაპარაკი აღძრა ქალაქის საზღვრის გაფართოვების შესახებ ვერის იქით ლისის მთებამდე. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს მიწის მზომელ ლარიონოვს შეიტანოს გეგმაში ქალაქის საზღვრის გასაფართოვებლად აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ვარაზის ხევისა და სომხის სასაფლაოს იქით სოფელ წყნეთამდე მდებარეობს. შემდეგ ამის შესახებ მოხსენება ქალაქის საბჭოს წარედგინება, რათა მან შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საზღვრის გაფართოების შესახებ.

⁂ პარასკევს, 18 აგვისტოს, სხდომაზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა მომავალის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამართვის საქმე და გადასწყვიტა საბოლოოდ, გამოფენა ალექსანდრეს ბაღში გამართოს. 1889 წელს გამართულ კავკასიის სამეურნეო გამოფენას დასჭირდა სულ 1340 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა; ეხლა როგორც გამოუანგარიშებიათ, ალექსანდროვის ბაღში თავისუფალი მიწა გამოფენისათვის იქნება 3000 ოთხ-კუთხი საჟ. საზოგადოების საბჭოს უფრო იმიტომ ამოურჩევია ალექსანდრეს ბაღი, რომ იქ, როგორც ქალაქის შუაგულ ადგილას და საზოგადოების სადგომთან ახლო მდებარეს, ნაკლებ ხარჯს მოითხოვს გამოფენის გამართვა, აგრეთვე ხალხისათვის უფრო მარჯვედ იქნება. ამასთანავე საბჭომ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას დაუთმოს გამოფენისთვის ალექსანდრეს ბაღი იმ პირობით, რომ ნება მიეცეს პატარა ბუჩქებისა და ყვავილების ამოღებისა. შემდეგ საბჭომ ეს ბუჩქები და ყვავილები ისევ უნდა დარგოს. საბჭოს იმდენად უხერხულად უცვნია ალექსანდრეს ბაღის გარდა სხვაგან გამოფენის გამართვა, რომ თუ ეს ბაღი არ დაეთმო, იძულებული იქმნება სულ თავი დაანებოს გამოფენის გამართვას.

⁂ ტფილისის გუბერნიის მკურნალი ტ. ს. ქიქოძე საზღვარ-გარედ წავიდა. საგუბერნიო მკურნალის თანამდებობის ასრულება დროებით საგუბერნიო მკურნალის თანაშემწეს ზროძელს დაევალა.

⁂ სენატის განმარტებით, რკინის გზის ყველა მსახურებსა, მუდმივსა და დროებით მუშებსა და აგრეთვე მათს ოჯახობას რკინის გზამ უნდა უწამლოს. ამის გამო ქალაქის თვითმმართველობის სხვა და სხვა დაწესებულებანი სრულიად განთავისუფლებულნი არიან ხარჯისაგან.

⁂ ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის პანსიონი მანგლისიდგან 21 აგვისტოს აპირებს ტფილისში გადმოსვლას.

⁂ როგორც გაზ. „ცნ. ფურცელს" შეუტყვია, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად დანიშნული ალექსი ჰიჰინაძე ქუთაისის გუბერნიის სახალხო დირექციას უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზედ.

⁂ როგორც შეუტყვია იმავე გაზეთს, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნს სავიჩს ურჩევია სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის ლევიცკის სახელმძღვანელოს მაგიერ ბ-ნის ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო." შემოიღეთო.

⁂ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ წელს ქართულ ძველ ლიტერატურიდგან გამოცხადებულია ტემად: „არჩილ მეფის ნაშრომის ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა".

⁂ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიიდგან შემდეგი ცირკულიარი მოსულიათ გირაოთი სესხის გამცემ რუსეთის ბანკებს: „რადგანაც პროცენტიანი ქაღალდების, მათ შორის გრძელ ვადიან კრედიტის გირავნობის ფურცლებისა და ობლიგაციების, — მოთავსება გაძნელდა, ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო გირავნობის ფურცლებისა და ობლიგაციების ფასების კიდევ უფრო დაწევის ასაცილებლად მათი გამოცემა შემცირებული იქმნეს რამდენადაც შესაძლებელია და ამ აზრით ხსენებულმა საზოგადოებებმა შემოკლონ ახალი სესხების გაცემა განსაკუთრებით ქალაქის მამულებზედ, უკიდურესის სიფრთხილით მოიქცნენ, როგორც სესხის მიცემაში, ისე ამ სესხის რაოდენობის განსაზღვრაში და სესხის გატანის მსურველს საქმის ეხლანდელი გარემოება წინ-და-წინვე შეატყობინონ.

⁂ რედაქციამ მიიღო ყურნალ „მოამბის" მე VII ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, „ბედდი ყოფილხარ!" (ეტიუდი) — ბ. არაგვისპირელისა; 2, ასული ისრაელისა. — 5 მოქ. ტრაგ. ანტ. ფურცელაძისა; 3, გაზანა, რომანი, — თარგ. ნატ. გიგაურისა; 4, „ვეფხვის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები — ალ. ს—შვილისა; 5, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან. — გიტა აბაშიძისა; 6, ინგლის-ტრანსვალის ომის მიზეზ შედეგი. — ი. ვაგაბამისა; 7, შინაური მიმოხილვა, — დადისა; 8, უცხოეთის მიმოხილვა, — დადისა.

⁂ პარასკევს, 18 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის სხდომაზედ გამგეობის წევრმა თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა განსახილველად დოლგის გორის მცხოვრებთა თხოვნა ნაძალადევსა და დოლგის გორას შუა ხიდის გაკეთების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას საბჭოს წინაშე, რომ ეს ხიდი იმ ფულით გაკეთდეს, რომელიც მნატცაკანოვის ხიდის შესაკეთებლად გადადებულ ფულს გადარჩა.

⁂ პარასკევს, 18 აგვისტოს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის მცხოვრების არტემ ამიროვის ანდერძი, რომელიც უკვე დამტკიცებულ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს მიერ ამა 1900 წლის აპრილში, გამგეობამ დაადგინა, წარუდგინოს ანდერძი განსახილველად ქალაქის საბჭოს თავისის მოხსენებით, მიიღოს მემკვიდრეობა ანდერძით და ნება-რთვის მიღების შემდეგ სთხოვონ ქალაქის სასწავლებელთა კომისიას დააწესოს ამიროვის სახელობაზე სტიპენდიები.

⁂ დღეს, 20 აგვისტოს, ნემენცევის ბაღში ბ-ნ საფაროვის მეთაურობით წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ეხლანდელი სიყვარული". დასასრული ჯონ მორისი უჩვენებს ბუნდოვან სურათებს „ვეფხვის ტყაოსნიდგან".

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

2 აგვისტო

თავმჯდომარე. რადგან საბჭოს ანგარიშის დაბეჭდვამ დაიგვიანა და აქამდის ვერ გაეცნო საზოგადოება, ამიტომ მისი დამტკიცება ცოტა დაგვიანდა. ეხლა ყველას აქვს ხელთ ეს ანარიში, გთხოვთ თქვენი აზრი წარმოსთქვათ ანგარიშის შესახებ. რამდენადაც მე დავუკვირდი ანგარიშს, შემიძლიან მოგახსენოთ, რომ უმთავრესი მოქმედება საბჭოსი გამოიხატება ტარიფის დაკლებით და ნახევარ კაპეიკიან გადასახადის მიღებით. ვსთხოვ ბ-ნ საბჭოს თავმჯდომარეს მოკლედ გააცნოს კრებას შინაარსი ანგარიშისა.

გ. ფ. ზდანოვიჩი. უმჯობესი იქნებოდა მოგვესმინა შენიშვნები იმათგან, რომელნიც აპირობენ კრიტიკაში გაატარონ საბჭოს ანგარიში. იმედი ვიქონიოთ, რომ წევრნი კრებისა საქმიან კრიტიკას გაგვიწევენ, რისთვისაც საბჭო დიდი მოხარული იქნება.

ქვარიანი ს. ა. ჩვენ ხელთ არის სქელი ანგარიში საბჭოსი. იქიდგანა სჩანს, რომ საბჭოს აღუძრავს შუამდგომლობა ხუთის საგნის შესახებ. დავიწყოთ პირველი საკითხიდგან. რა აკეთა საბჭომ ოთხის წლის განმავლობაში, რომ მიეღო ნახევარ-კაპეიკიანი გადასახადი? ისე მოახერხა, რომ სურვილს მიაღწია მხოლოდ 1898 წლის გასულს. მე არა მგონია, რომ მთავრობა მტრულის თვალით უყურებდეს შავი-ქვის მრეწველთა საქმეს, რომ ამ საქმის გადაწყვეტამ ასე დაიგვიანა! მაშ მიზეზი დაგვიანებისა სად იმალება? მე ვფიქრობ, რომ საბჭოს არა სცოდნია, როგორ მოეკიდა საქმისათვის ხელი. რაიცა შეეხება ბაქნების გაწეს-რიგებას, ამის შესახებაც ის უნდა მოგახსენოთ, რომ თხოვნები და შუამდგომლობა მრავალი გაუგზავნიათ, მაგრამ შედეგი ამათი ისა ყოფილა, რომ ბაქნები დარჩენილა მსხვილ მწარმოებელთა ხელში და წვრილი მწარმოებელნი-კი განზედ გარიყულან. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ პირველ საგნის გამო საბჭოს თავმჯდომარე მთელი თოთხმეტი თვე იჯდა პეტერბურგში, თერთმეტი ათასი მანეთი დახარჯა და თავისით მაინც ვერაფერს გახდა.

წერეთელი ს. ი. მე გახლდი იმ კომიტეტის წევრად, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბაქნების გაწესრიგება და არ მახსოვს არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ბაქანი ეთხოვოს ვისმე და უარი მიეღოს.

ქვარიანი ს. ა. პირველ კრებაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მსხვილი მწარმოებელნი, ასე რომ ამ კომიტეტის წევრებადაც ისინი იყვნენ ამორჩეულნი. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოს აქაც ბედოვლათობა გამოუჩენია და ყურადღება არ მიუქცევია წვრილ მრეწველთა ინტერესებისათვის.

თავმჯდომარე. ბ-ნო ქვარიანო, თქვენის კრიტიკისთანა კრიტიკას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ზოგადი ფრაზები ვერავითარ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს მომავალ საბჭოს. თქვენ დაგვისახელეთ განსაზღვრული ფაქტები.

სოლოღაშვილი ა. ბ. წვრილი მრეწველნი ჰყიდდნენ თავიანთ ბაქნებს, მსხვილი მწარმოებელნი ყიდულობდნენ. აქ არაფერს შუაშია არც საბჭო და არც რკინის გზა.

ქვარიანი ს. ა. გადავიდეთ გადმოტან საშუალებათა გაძლიერებაზე. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ამ საგნის შესახებ საბჭოს აღუძრავს მრავალი შუამდგომლობა, მაგრამ არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილებულა. ამ საქმეში ვამტყუნებ არა მარტო რკინის გზის გამგეობას, არამედ საბჭოსაც. აქაც ეტყობა საბჭოს ბედოვლათობა. გადავიდეთ ახლა მეოთხე საგანზედ, მაგრამ ამ საგნის შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგან არა მაქვს კარგად შესწავლილი (ეს საკითხი გახლავთ სამთო სასწავლებლის დაარსება). ახლა შევეხოთ მეხუთე საგანს — ტარიფის შემცირებას. დღევანდლამდის დარწმუნებული ვიყავ, რომ ტარიფის შემცირება საბჭოს უნარი იყო, მაგრამ გავეცან თუ არა საბჭოს მოქმედების ანგარიშს, დავრწმუნდი, რომ ის აქ არაფერს შუაში ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა. ბ-ნი ზდანოვიჩი მთელი ექვსი თვე იჯდა პეტერბურგში და ვერაფერს გახდა. დრო-კი მაშინ მოხერხებული იყო ამისთანა შუამდგომლობისათვის: იმ დროს საზოგადო სამრეწველო კრიზისი ჰმეფობდა და მთავრობაც დიდის თანაგრძნობით მოეკიდებოდა მრეწველთა გაჭირვებას. იქნება ბ-ნი ზდანოვიჩი დღესაც იქა მჯდარიყო, რომ ლ. ნ. ასათიანის ბედნიერი ხელი, ვითარცა deus ex machina, არ მოვლენოდა. რომ ფაქტების გადამახინჯება არავინ შემწამოს, წავიკითხავ ანგარიშში ამ ადგილს. (კითხულობს).

გ. ფ. ზდანოვიჩი. ბ-ნ ქვარიანის კრიტიკა ამტკიცებს მხოლოდ მის სრულსა და მტკნარს უცოდინარობას ამ საქმეში. მთელი მისი მსჯელობა მოგვაგონებს ბალღის ტიტინს. ვისაც ოდესმე მთავრობის რომელსამე დაწესებულებაში საქმე ჰქონია, იმისთვის ცხადია, რომ იქ ისე ჩქარა არა კეთდება საქმე, როგორც ეს ჰსურს ბ-ნს ქვარიანს. ყოველ საქმეს თავისი ჯერი აქვს. ნახევარ-კაპეიკიანის გადასახადის გადმოცემაზედ აღიძრა შუამდგომლობა პირველის მორიგის კრების შემდეგვე. შუამდგომლობა გავგზავნეთ სამთო დეპარტამენტში და შემდეგ სახელმწიფო საბჭოში, სადაც ყოველი შუამდგომლობა განიხილება ჯერით და არავის არ შეუძლიან აქ საქმე დააჩქარებინოს და, ვფიქრობ, რომ ვერც ქვარიანი შესძლებს ამას.

თავმჯდომარე. გთხოვთ, საკამათო საგანს ნუ ასცდებით.

ზდანოვიჩი გ. ფ. სამთო დეპარტამენტს რომ გადაეწყვიტა, რა ჯამი გადმოეცა ჩვენთვის, იგი უნდა დაჰკითხებოდა სხვა-და-სხვა დაწესებულებას, საიდგანაც პასუხის მოსვლას დიდი დრო უნდა. ეს ბ-ნს ქვარიანს, ეტყობა, არა სცოდნია. ბ-ნი ქვარიანი გვიკიჟინებს, საქმე ბედოვლათად გიწარმოებიათო, ერთი, ღვთის გულისათვის, თქვას, როგორ უნდა გვეწარმოებინა? როცა გვეტყვის ვინმე, გინდ ქვარიანს გარდა სხვა, რადგან იქნება ქვარიანმა ვერც-კი შეიძლოს ეს,—რომ ასე სჯობდა გეშუამდგომლით და არა ისე, როგორც თქვენ მოგიხდენიათო, ჩვენ მხოლოდ მადლობას მოვახსენებთ. რაიცა შეეხება ვაგონების განაწილების წესების დამტკიცებას, ამის შესახებ აი რას მოგახსენებთ: ამ წესების პროექტი პირველ მორიგის კრების შემდეგ მალე გავგზავნეთ სამინისტროში, მაგრამ აქამდის ჯერ არ დაუმტკიცებიათ. პეტერბურგში რომ ვიყავი, თითქმის ყოველ კვირა დავდიოდი სამინისტროში და ვკითხულობდი, რა მდგომარეობაშია ეს პროექტი თქო. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ წესდება კომიტეტისა გარდაეცა სახელმწიფო რკინის გზის გამგეობას, ხოლო აქედგან რკინის გზის დეპარტამენტში. 1898 წლის ბოლოს დამპირდნენ, რომ ეს მოხსენება მალე გადაეცემა რკინის გზის საბჭოს, ამას წინად ბ-ნმა გორჩაკოვმა მომწერა, რომ წესდება დაბეჭდილია და უნდა შევიტანოთ საბჭოშიო. ახლა გკითხავთ მე თქვენ, დავერწმუნო ბ-ნ გორჩაკოვს თუ არა? დავერწმუნო ზემოხსენებულს დაწესებულებათ, თუ არა?

რაიცა შეეხება გადამტან საშუალებათა გაძლიერებას, ამის შესახებ როგორც პირადად, ისე წერილობით რამდენჯერმე ვიშუამდგომლეთ და ცოტაოდენი შედეგიც მოჰყვა ამას, როგორც ეს მოგახსენათ წელან რკინის გზის წარმომადგენელმაც. თუ აქაც საქმეს დაგვიანება ეტყობა, ეს ჩვენი ბრალი სრულიადაც არ არის. მრავალ შუამდგომლობას გარდა, ამ ცოტა ხნის წინად მივმართე გზათა სამინისტროს შემდეგი თხოვნით: ვინაიდგან კოლომენის ქარხანამ უარ-ჰყო ამერიკულის სახის ორთქლ-მავლების გაკეთება, ნება მოგვცემოდა მისი გაკეთება შეგვეკვეთნა საზღვარ-გარეთ. მაგრამ ეს თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული, რადგან არსებობს უმაღლესი ბრძანება, რომ ყველა რკინის გზისათვის საჭირო მასალა გაკეთდეს რუსეთში. გვიბრძანეთ, როგორ შეიძლებოდა კიდევ საქმის გაკეთება. ან გვიბრძანოს ბ-ნმა ქვარიანმა, რა თილისმა აქვს ისეთი, რომ ეს საქმე დაეჩქარებინა?

ოპოზიციიდგან ხმები: გრძნობამ ნუ გაგიტაცათ! დამშვიდდი!

ზდანოვიჩი გ. ფ. დიახ, მე გატაცებული ვარ, კიდეც ვღელავ! მე მაღელვებს თქვენი ქცევა! ახლა გადავიდეთ ტარიფის შემცირებაზედ. უნდა გამოგიტყდეთ, ბატონებო, რომ ამ მხრიდგან კი საყვედურის გაგონებას არას გზით არ მოველოდი. ეს არაფერი სასახელო საქმეა მათთვის, ვინც ამ საყვედურს მითვლი!

თავმჯდომარე. გთხოვთ საკამათო საგანს ნუ ასცდებით!.. კრებას შევწყვეტ ხუთის წამით.

ზდანოვიჩი გ. ფ. კარგად იცით, რომ ტარიფის შემცირების საქმე ორჯელ იყო აღძრული: პირველად მაშინ, როცა კავკასიაში ჩამობრძანდა სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და დაათვალიერა ჭიათურის მადნები. მის აღმატებულებას მივმართეთ ორის თხოვნით: ტარიფის შემცირებისა და მრეწველთა კრების დაწესების შესახებ. შავი-ქვის მრეწველთა მიერ გამართულ სადილზედ მინისტრის საპატივსაცემლოდ მრეწველთა ერთი ნაწილი თავგამოდებით არწმუნებდა მინისტრს, რომ უსარგებლო იქნება ჩვენთვის ტარიფის შემცირებაო. ამ ცბიერების შედეგი, უკაცრავად ამ სიტყვისათვის, ის იყო, რომ ბ-ნი მინისტრი მართლა წინაღუდგა ტარიფის შემცირებას და ისიცა სთქვა, რომ იგი მხარს არ დაუჭერს ამ საკითხს, თუ სხვა სამინისტრომ აღძრა იგი. შემდეგ, როცა საბჭომ, მეორე მორიგის კრების დადგენილების თანახმად, შუამდგომლობა დაიწყო სამინისტროში ტარიფის შემცირების შესახებ, იმავე ვაჟბატონებმა გაჰგზავნეს სამინისტროში განცხადება, რომ ჩვენ არა გვსურს ტარიფის შემცირებაო. მე განვაცხადე სადაც რიგი იყო, რომ თუ ამ ქაღალდს მსვლელობა მიეცემა, მე იძულებული ვიქნები სამართალში მივცე ისინი, ვინც ამ ქაღალდზედ ხელს აწერს, რადგან იმათ არავითარი უფლება არა აქვთ განცხადება შემოიტანონ კრების სახელით, რადგან კრებას სულ სხვა გადაწყვეტილება აქვს ამ საგანზედ მეთქი. იმათი განცხადება უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საგანი სატარიფო კომიტეტში განხილულ იქმნა ოთხჯერ. იქნება ქვარიანი ჰფიქრობს, რომ ადვილი საქმეა ერთი და იგივე საქმე ერთსა და იმავე დაწესებულებას ოთხჯერ განახილვინო? კრების წარმომადგენელნი, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი უარით გვისტუმრებდა, ჰპოულობდნენ ახალს საბუთებს და საქმეს განახლებინებდნენ ხოლმე. ეს ყველაფერი დაწვრილებით მოხსენებულია ჩვენს დაბეჭდილს ანგარიშში. 1898 წლის მაისში ჩვენ მეორეჯელ გვითხრეს უარი. სწორედ ამ დროს პეტერბურგს მოვიდა ლ. ნ. ასათიანი, ბათუმის ქალაქის მოურავი, და ღირს იქმნა წარდგენოდა მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს. მე ვისარგებლე პატივცემულ ლუკა ნიკოლოოზის ძის მეგობრობით და ვთხოვე ეცნობებინა დიდის მთავრისათვის, რომ აქ, პეტერბურგში, იმყოფებიან შავი-ქვის მრეწველთა წარმომადგენელნი, რომელნიც კარგა ხანია სცდილობენ ტარიფის შემცირებას. ამის შემდეგ ჩვენ გვებოძა ნება მისის უმაღლესობის ხილვისა და მივართვით მოხსენება ტარიფის შემცირების შესახებ. დიდი მთავარი სრულის თანაგრძნობით მოეპყრო ჩვენს თხოვნას, ინება და სტატს-სეკრეტარ ვიტტეს ყურადღება მიაქცია ჩვენს საქმეზედ. მე მეგონა ეს გარემოება ღირსებად ჩამეთვლებოდა და საყვედური კი მომართყეს! ასეთი უცნაური საყვედური გაგონილა?! ღირსეული ლ. ნ. ასათიანი რომ ეხლა აქ იყოს, ბუნებითი თავმდაბლობა მისი ნებას არ მისცემდა, ქვარიანის კომპლიმენტები მიეღო. ბოლოს მე ჩემს მოვალეობად ვთვლი წინადადება მივცე კრებას, რომ მან მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოოზის ძეს მოახსენოს უღრმესი მადლობა იმ მაღალის ყურადღებისათვის, რომელიც მან ინება ჩვენთვის ტარიფის შემცირების შესახებ.

ეს წინადადება აღტაცებულის ტაშის ცემით მიიღეს და ერთხმად გადაწყვეტილი იქმნა, რომ სამადლობელი დეპეშა გაეგზავნოს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს.

ემერიკი გ. გ. საბჭოს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ტარიფის შემცირებისა და ვაგონების მომატებისა გარდა, იმ შემთხვევაშიაც, ჩვენი მოვალეობაა მადლობა შევწიროთ. თუ ეხლა თქვენ ამ წინადადებას უარჰყოფთ, მაშ, ვინღა გვემსახურება ასე ერთგულად? აქ კრიტიკას მიჰყვეს ხელი, მაგრამ მათის აზრის და შეხედულობის მეტი ჩვენ არაფერი საფუძვლიანი არ გაგვიგონია. ამისთანა კრიტიკას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბ-ნმა ქვარიანმა თავისის კრიტიკით მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ მისთანა კრიტიკა არ ეპირება საქმეს. მე წინადადებას ვაძლევ კრებას გამოუცხადოს საბჭოს თავმჯდომარეს სრული მოწონება მისის მოქმედებისათვის.

წინადადება მიღებულ იქმნა აღტაცებით.

ჟდენტი კ. ბ-ნო თავმჯდომარე, დაგვიხსენით ბ-ნ ქვარიანის უხეირო კრიტიკისაგან, სად გვცალიან მაგას ყური ვუგდოთ, ათასი საქმე გვაქვს.

თავმჯდომარე. ვინც ბ-ნ ემერიკის წინადადების წინაამდეგია, ვთხოვ ადგეს.

ადგა მხოლოდ ქვარიანი, მწუხარე თვალით გადახედა მან თავისს მომხრეებს, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, მხარი არავინ მისცა. ოქმში შეტანილ იქმნა ქვარიანის უსაფუძვლო საყვედური და იგი ამით დაკმაყოფილდა.

კრება გადიდვა მეორე დღისთვის.

---

# უცხოეთი

—

ჩინეთი. გაზეთ „ვოსტოჩნი ობოზრენიაში“ დაბეჭდილია დაწვრილებითი ცნობები მანჯურიაში რუსებსა და ჩინელებს შორის მოხდარ პირველ შეტაკების შესახებ. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ამ გაზეთის კორესპონდენტი: „ჯერ ისევ გაზაფხულზედ ადგილობრივ ჩინელთა შორის ხმა გავრცელდა, რომ ივნისში ხაილარიდგან განდევნიან რუსებს, საზოგადოდ მთელს ჩინეთში აღარც ერთს უცხო-ქვეყნელს აღარ დააყენებენო. ამ ხმას ყურადღებას არავინ აქცევდა და მუშაობა რკინის გზაზედ ერთს წუთსაც არ შეჩერებულა. მაგრამ, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ეს ხმები მართალი გამოდგა. ივნისის პირველ რიცხვებში ხაილარში მოვიდა ახალი ჩინელი გენერალი, ვინმე ტუიუ-ენი, რომელმაც ინახულა მანჯურიის რკინის გზის მე-2 ნაწილის უფროსი, ინჟინერი რიჟოვი და სადარაჯო ჯარის უფროსი ჩოგლოხოვი. ამათ ისეთის პატივით და სტუმართ მოყვარეობით მიიღეს გენერალი, რომ გამომშვიდობების დროს ამ უკანასკნელმა სთქვა, როდესაც თქვენთან ბრძოლა მომიხდება, ერთის დღით ადრე შეგატყობინებთ ამ ამბავსაო. ამ სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქცია, და ჩვეულებისამებრ განაგრძეს მუშაობა.

„ასე გაიარა დრომ 28 ივლისამდე. ამ დღეს დილის 8 საათზედ მოვიდა ხაილარიდგან ერთი ჩინელი, რომელმაც რაღაცა უთხრა რკინის გზაზედ მოსამსახურე ჩინელებს. იმავე დღეს ჩინელებმა მუშაობას თავი მიანებეს და ხაილარში წავიდნენ. სხვა ადგილებიდგანაც შეგვატყობინეს სადგურზედ, რომ ჩინელები წავიდნენო. ამ ამბავმა რუსები მალიან შეაფიქრიანა. დილის ცხრა საათზედ სადგურზედ მოვიდა ოფიციალური თარჯიმანი გენერლის ტუიუ-ენისა, რომელმაც გამოუცხადა ნაწილის უფროს ინჟ. რიჟოვს, რომ გენერალმა ტუიუ-ენმა წუხელ ბრძანება მიიღო ციციკარის გენერალ-გუბერნატორისაგან გარეკოს ყველა რუსები რკინის გზის სადგურებიდგანაო. ამასთან გენერალი უთვლიდა, ამ ამბავს პირობისამებრ გატყობინებთ და გთხოვთ მუშებითა და მოსამსახურეებით წახვიდეთ, რადგანაც ხვალ, 29 ივნისს, ჩემის ჯარით მოვალ და თქვენ წინაამდეგ მოქმედებას დავიწყებო. ყველა დარწმუნდა, რომ გენერალი მართლაც დაუწყებდა დილაზედ ბრძოლას რუსებს, რადგანაც რამდენსამე დღის წინად ხაილარში დიდ ძალი ჯარი შეიკრიბა.

„თარჯიმანის სიტყვების მოსმენის შემდეგ, ბ. ნ რიჟოვმა, ჩოგლოხოვმა და აგრეთვე სადგურზედ მყოფმა ორმა ოფიცერმა—შევიჩმა და ინოზემცევმა შემდეგი შეუთვალეს გენერალს ტუიუ-ენს: „გმადლობთ, რომ წინ და წინვე გვატყობინებთ ამ ამბავს; მაგრამ თქვენ თხოვნას ვერ აღვასრულებთ და ვერ წავალთ აქედგან,ვიდრე ჩვენ მთავრობის ბრძანებას არ მივიღებთო“.

„თარჯიმანის წასვლისათანავე დეპეშები გავგზავნეთ და ეცნობეთ ყოველივე: მთავარ ინჟინერს, მთელის გზის დარაჯთ უფროსს—ხარბინში, გუბერნატორს—ჩიტაში და გენერალ-გუბერნატორს გროდეკოვს. შემდეგ ჩვენმა სამმა ოფიცერმა—ჩოგლოხოვმა, შევიჩმა და ინოზემცევმა, ინჟენერ რიჟოვთან მოლაპარაკების შემდეგ, გადასწყვიტეს, გაამაგრონ ადგილი და საზოგადოდ მზადებას შეუდგნენ მომავალ ბრძოლისათვის. ჯარი, ე. ი. რკინის გზის დარაჯი, სულ 70 ქვეითა ჯარის-კაცისა და 30 ცხენოსნისაგან შესდგებოდა. მუშებს შორის (მუშა სულ 600 იყო) აღმოჩნდა 50—60 კაცი ჯარში ნამსახური. ესენი ჯარს მიემატნენ. შემდეგ მუშები თხრილებისა და სიმაგრეების გამართვას შეუდგნენ. ნაშუადღევის 3 საათზედ მოვიდა ხელ-ახლა გენერალ ტუიუ-ენის თარჯიმანი და გადმოგვცა, გენერალი ერთხელ კიდევ გთხოვთ და გირჩევთ ეხლავე სადგურს თავი მიანებოთ და წახვიდეთ საზღვრისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დილაზედ ადრე დავიჭერ ჩემის ჯარით როგორც სადგურს, აგრეთვე ახლომახლო მდებარე ადგილებს და მაშინ საზღვრისაკენ ველარ გაგიშვებთო. ჩემის მთავრობისაგან ნაბრძანები მაქვს, სასტიკად მოვექცე რუსებს, ხოლო მე წინ და წინვე იმიტომ გატყობინებთ, რომ მახსოვს თქვენი სტუმართ-მოყვარეობა და თქვენთვის სიკეთე მინდაო. დილაზედ რომ არ წამოვიდე ჯარით, არ შემიძლიან, გამიგებენ და თვით მე დამსჯიანო. უფროსებმა გენერლის ეხლაც ის შეუთვალეს, რაც პირველად, ვერ წავალთ, ვიდრე ჩვენის მთავრობისაგან ბრძანებას არ მივიღებთო. გვინდოდა კიდევ გაგვეგზავნა დეპეშა ხარბინში, მაგრამ ჩინელებს ტელეგრაფის მავთულები გაეფუჭებინათ. როდესაც უაზახებმა ტელეგრაფი, შეაკეთეს, მოვიდა მთავარ ინჟინრის დეპეშა: „ეხლავე აიღეთ კასსა, ქაღალდები და რუსები ყველანი დაუყოვნებლივ საზღვრისაკენ გაუდექით გზასაო“. ამ დეპეშის მიღებისათანავე, ისეთი არეულობა მოხდა, რომ წერაც-კი არ შემიძლიან. ყველა ეშურებოდა ბარგი-ბარხანის მოგრებას და საგზაოდ მომზადებას. მალე გავედით კიდეც სადგურიდგან. ბევრმა თავისს სარჩო-საბადებლის მესამედის გატანაც ვერ მოასწრო. ერთ სავაჭრო მაღაზიის პატრონს, შესტოვს, მაღაზიაში 100,000 მანეთის საქონელი დარჩა“.

— შანხაიდგან „დალციელის სააგენტოს“ატყობინებენ, რომ მოკავშირეთა ჯარის უფროსები პეკინში თხოულობენ პრინცის ტუანის, გენერლის ტუნგფუსიანის, მანდარინების კანგ-ის, ჩაო-სუ-ჩაოს, ხსუ-ტონგას, ხსუ-ჩისა და იუ-სიენის სიკვდილით დასჯასაო. როგორც დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს, პრინცი ტუანი უკვე მოუკლავთ იაპონელებთან ბრძოლაში.

---

## სპარსული ლეგენდა საზამთროს (ყარფუზის) შესახებ

(ნუხის მაზრაში გაგონილი)

სპარსულად საზამთროს ჰქვიან ყარფუზი. სახელი „ყარფუზი“ შესდგება ორის სიტყვისაგან—„ყარ“, რომელიც ჰნიშნავს—„ვირი“ და „ფუზ“—„თხა“. აქედგან სიტყვა „ყარფუზი“ ერთად ჰნიშნავს „ვირ-თხას“. იმის შესახებ, თუ როგორ შემოვიდა პირველად ეს ხილი და რად ეწოდა სახელად „ყარფუზი“, სპარსელებს შემდეგი ლეგენდური მოთხრობა ჰქონიათ: ძველთაგან ძველს დროში სცხოვრობდა ერთი შაჰი. ერთხელ მას სასახლესთან მოვარდა თურმე ერთი უზარმაზარი დევი და მოითხოვა, რომ მისთვის შაჰი ეწვეინებინათ. შაჰს შეეშინდა. ასე ეგონა, დევი მოიტაცებს და შეჭამსო. რომ როგორმე ეშველნა თავისთვის, სწრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფად შეჰკრიბა ნაზირ-ვეზირები და უსისხლა ამათ რჩევა, როგორ აეცდინა თავიდგან დაუმარცხებელი და საშიში სტუმარი. ბევრი რამ ურჩიეს მეფეს, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი ვეზირთაგანი და სთქვა: „ჰო, დიდო მბრძანებელო ირანისაო! ესდაკვე მოიხმე ქალაქიდგან სასახლეში ყველა ხელოსანი თავისის იარაღით". მეფემ უბრძანა აესრულებინათ ეს თხოვნა. თუმცა ქალაქის მცხოვრებნი შეშინებულნი იყვნენ დევისაგან, მაგრამ მეფის ბრძანებას ვერ გადუდგნენ და მაშინვე მავიდნენ სასახლეში ზოგი ხერხით, ზოგი ცულით, ზოგი ნაჯახით და სხვ. დევმა რომ დაინახა კაცი, რომელიც მივიდა ხერხით, სტაცა ხელი და გაიტაცა თავისის ბინისაკენ. ყველას ეგონა, რომ დევი იმ კაცს გადაულაპავსო. მეფე-კი დამშვიდდა, რაკი თითონ გადარჩა.

როდესაც დევმა მიიყვანა მხერხავი კაცი თავისს ბინაზედ, გამოქვაბულში შეიყვანა. მხერხავს ეგონა, რომ ეხლა ჩემი აღსასრულიაო, ფეხგაფიკით ედგა თმა შიშისაგან და მაგრამ უცბად გული დაუწყნარდა: მიჰხვდა საქმის გარემოებას. დევს აწვენა თურმე ამ კაცს თავისი ავადმყოფი ცოლი, რომლის სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა. ამ ქალბატონს ცოცხალი ყოჩი წაეყლაპა, მაგრამ, საუბედუროდ, რქები პირში გასჩხეროდა, ასე რომ ცხვარი ვერც მუცელში ჩადგებოდა, ვერც პირიდგან ამოაცალეს თურმე. დევი ამ მიზეზით მისულიყო მეფესთან: შველა უნდოდა ეთხოვნა და ცოლი დაეხსნა სიკვდილისაგან. მხერხავი კაცი, რასაკვირველია, მიჰხვდა საქმის ვითარებას, მაშინვე მოახერხა ყოჩს რქები და მუცელში ჩაუყლაპა იგი ქალბატონს. დევის ცოლს გულზედ მოეშვა და გადარჩა ავადმყოფობისაგან. დევმა მადლობა უთხრა თურმე მხერხავს, საჩუქრად რაღაც შავი თესლები მისცა და ისე დააბრუნა უკან.

როდესაც ეს კაცი მოვიდა ქალაქს, ყველას უკვირდა, რომ ცოცხალი გადარჩენილაო. იგი წარუდგა მეფეს და უთესლები მოახსენა. თესლებს შიშისაგან ვერავინ ეკარებოდა. ეგონათ, —დევისაგან მოშხამული იქნებაო. გადასწყვიტეს, დაეთესნათ, ენახათ რა ამოვა. მაზანდერანზედ ამ შავი თესლებისაგან ბოსტანში მრგვალი დიდ-დიდი ხილი მოვიდა. მაგრამ შიშით აბა გემოს ვინ უსინჯავდა. აღმოჩნდა გულადი კაცი, რომელმაც შუაზედ გასჭრა მრგვალი ხილი. წითელი, წვნიანი ნაყოფი ყველას მოეწონა გარეგნობით, მაგრამ ჭამას ვერ ჰბედავდნენ. გადასწყვიტეს ჯერ ცხოველებისთვის ეჭმევინათ და თუ დევის ხილით ისინი არ დაიხოცებოდნენ, მაშინ თითონაც ეჭამათ. ამ დროს ბოსტნის გვერდზედ იყვნენ, იქა სძოვდნენ ვირი და თხა. შუაზედ გაჭრილი უცხო ნაყოფი მიუტანეს ნახევარი ვირს და ნახევარი თხას. ვირი და თხა სიამოვნებით შეექცნენ და არ მოიწამლნენ, არ დაიხოცნენ, ადამიანებმა მაინც ვერ გაჰბედეს ჭამა, ეფიქრეს, —შეიძლება ცხოველები არ მოიხიბლნენ დევის ხილით და ჩვენ-კი მოვიშხამოთო. ამ გვარად ვერავინ ჰბედავდა გემოს ნახვას. ბოლოს მეფემ შემდეგი საშუალება მოიგონა: საპატიმროში ერთი ტუსაღი იყო, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი. მეფემ ბრძანა: ეგ ხილი ამ ტუსაღს აჭამეთ საქვეყნოდ და თუ მოიწამლა და მოკვდა, ეგ ეყოს სასჯელად, ხოლო თუ გადარჩა, განთავისუფლეთ, დანაშაული მიპატიებია მეფისათვისაო. მეფის ბძანებით ნაჭერ-ნაჭერად დაჭრილი წითელი, წყლიანი ხილი სინით მიუტანეს ტუსაღს და უთხრეს: „მეფეს ებრალები, რომ მალე სიცოცხლეს უნდა გამოესალმო, ამიტომ გამოგიგზავნა სასახლის გემრიელი ხილი საჭმელადაო". პატიმარმა მთელი სინი წითელ წვენს ხილი შეჭამა და ბოლოს სთქვა: „სთხოვეთ მეფეს, თუ ვებრალები ერთი სინი კიდევ მაჭამოს ამ ხილისაო". მაშინ დარწმუნდნენ, რომ დევის თესლი საწამლავი არ იყო, პირიქით, გემრიელს საჭმელს წარმოადგენდა. ტუსაღი განათავისუფლეს. უცნაურ ხილს დაარქვეს სახელად „ყარფუზი" (ვირ-თხა), რადგან პირველად ამ ცხოველებმა ჰსინჯეს მისი გემო.

მ. ტ. ი—კი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აგვისტო

**იოკოჰამა.** რადგანაც ჩინელებმა ამოიში ცეცხლი წაუკიდეს იაპონიის ტაძარს, ამიტომ სამშაბათს ფორმოზიდგან ამოიში გაგზავნილ იქმნა ხუთი როტა იაპონიის ჯარისა. ამას გარდა ამოიში უკვე გადასხეს ორი სამხედრო გემიდგან ზღვაოსანნი.

გენერალი იამაგუჩი პეკინიდგან დეპეშით იუწყება უცხო-ქვეყნელ ელჩებისა და ჯარის უფროსების მოლაპარაკების შესახებ, რომელიც წარსულ შაბათს მომხდარა. დაადგინეს, შემდეგშიაც დაიცვან საიმპერატორო ქალაქის გალავანის კარებები: სამხრეთის კარები ამერიკელებმა უნდა დაიცვან, დანარჩენი კარები—იაპონელებმა. შემდეგ დაადგინეს, 15 აგვისტოს მოკავშირეთა ჯარმა საგანგებოდ გაიაროს საიმპერატორო ქალაქზედ.

**ლონდონი.** რობერტსი 17 აგვისტოს ბელფასტიდგან დეპეშით იუწყება, რომ როგორც ვატერვალბოვენისა და ვატერვალიონდერის ალების ცნობებიდგანა სჩანს, ბულლერს ეხლა ისეთი პოზიცია უჭირავს, რომელიც ნოიტგედახტომს დაჰყურებს. ნოიტგედახტომს ბურებმა უთუოდ თავი მიანებეს. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ კრიუგერი და ბურების ჯარი პილგრიმსრესტისაკენ წავიდნენო.

**ჰონკონგი.** როგორც კანტონიდგან იუწყებიან, ვიცე-კოროლის თანამდებობის აღმასრულებელმა განკარგულება მოახდინა შეაჩერონ ყველა ადგილობრივ ჩინურ გაზეთების გამოცემა ცრუ ცნობების გავრცელებისათვის. ეს გაზეთები ავრცელებდნენ თურმე ცრუ ცნობებს ჩინეთის ჯარის გამარჯვების შესახებ. ამ განკარგულებას საკეთილოდ სცნობენ.

გონკონგში ჩინელები ძლიან არიან გაბრაზებულნი იაპონელების ყოფა-ქცევით ამოიში და ამბობენ, რომ მთელი ვაჭრობა შეჩერდაო. ფუკიენის პროვინციაში შიშობენ, რომ უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოძრაობა არ მოხდეს. ჩინელები აცხადებენ, თუ მოხდა ასეთი მოძრაობა, ეს იაპონიის ყოფა-ქცევით იქმნება გამოწვეულიო.

19 აგვისტო

**პეტერბურგი.** მთავრობის ცნობა: „ამ უკანასკნელ დროს პეჩილიის ბრძოლის ველზედ მომხდარმა ამბებმა მოულოდნელად ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მოკავშირეთა შედარებით მცირე ჯარმა, რომელსაც საგნად მომწყვდეულ უცხო-ქვეყნელთა მისიებისა და უცხო-ქვეყნელ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების განთავისუფლება ჰქონდა, არამც თუ შესძლო ამ პირველად განზრახულ საგნის განხორციელება, არამედ ამავე ჯარმა განდევნა ჩინეთის იმპერიის სატახტო ქალაქში შეკრებილი მეამბოხეთა ბრბონი და ზომები მიიღო პეკინში მიმავალ რკინის გზების უზრუნველ საყოფელად. ამისდა მიუხედავად ეს სასიამოვნო ამბები ვერ შესცვლიან რუსეთის ერთხელვე გამორკვეულ პოლიტიკას, რომლის საფუძველიც აღნიშნულია მთავრობის წინანდელ ცნობებში. რუსეთმა, როგორც ნათქვამი იყო, არ გამოუცხადა ომი ჩინეთს; რუსეთის ჯარი მეზობლის სახელმწიფოს მიწა-ადგილში შევიდა განსაზღვრულის აზრით, რომლის უმთავრესი ნაწილიც უკვე იქმნა სისრულეში მოყვანილი. უთანხმოების თავიდგან ასაცილებლად და აგრეთვე რათა მიზეზი არავის მიეცეს ცრუ აზრი შეადგინოს იმის შესახებ, თუ რა განზრახვა აქვს შემდეგისათვის რუსეთს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად უბრძანა გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგეს გაუგზავნოს საზღვარ გარეთ მყოფ რუსეთის წარმომადგენლებს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარის ჩინეთში გაგზავნის დროს საიმპერატორო მთავრობამ წინადადება მისცა სახელმწიფოებს მიიღონ სახელმძღვანელოდ შემდეგი: 1) დაცულ იქმნას სახელმწიფოთა შორის თანხმობა, 2) დატოვებულ იქმნას ჩინეთში არსებული სახელმწიფო წეს-წყობილება, 3) თავიდგან აცილებულ იქმნას ყველა ის, რასაც შეიძლება ჩინეთის იმპერიის დანაწილება მოჰყვეს, და 4) საერთო ძალით აღდგენილ იქმნას პეკინში კანონიერი მთავრობა. ამ ჩამოთვლილ საგნების შესახებ სახელმწიფონი თითქმის შეთანხმდნენ. ამ ზემოდ დასახელებულ მოქმედების პროგრამისათვის რუსეთის საიმპერატორო მთავრობას არ გადაუხვევია და გადაწყვეტილი აქვს არც შემდეგში გადაუხვიოს. როდესაც მანჯურიაში აღდგენილი იქმნება წესიერება და საჭირო საშუალებანი იქმნება მიღებული რკინის გზის დასაცველად, რუსეთი არ დააყოვნებს და გამოიყვანს თავისს ჯარს მეზობელ სახელმწიფოდგან, თუ, რასაკვირველია, სხვათა სახელმწიფოთა მოქმედება დაბრკოლებას არ გაუწევს ამას. აშკარაა, რომ უცხო-ქვეყნის სახელმწიფოთა და საერთაშორისო საზოგადოებათა ინტერესები როგორც რუსეთის მიერ დაჭერილ სანავთ-სადგურო ქალაქ ნიუჯუანში, აგრეთვე რუსეთის ჯარის მიერ აღდგენილ რკინის გზათა ლიანდაგებზედ დაურღვეველი და სავსებით უზრუნველ ყოფილი დარჩება. როდესაც კანონიერი მთავრობა ჩინეთისა შეუდგება მართვა-გამგეობის საქმეს და დანიშნავს: სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად საჭირო მინდობილობით აღჭურვილს წარმომადგენლებს, მაშინ რუსეთი, ყველა სახელმწიფოს მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ, დაუყოვნებლივ დანიშნავს ამისათვის წარმომადგენელს და გაგზავნის მომავალ მოლაპარაკებისათვის არჩეულ ადგილას". როდესაც ზემოდ გადმოცემული ცირკულიარი ეცნობა სახელმწიფოთა მთავრობებს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკსა და გენერალ-ლეიტენანტს ლეწევიჩს ებრძანათ დაუყოვნებლივ იზრუნონ უმაღლესის სურვილის განსახორციელებლად საიმპერატორო მისიის ყველა წევრისა, რუსეთის ქვეშევრდომთა და რუსეთის სამხედრო რაზმის პეკინიდგან ტიან-ძინში გადაყვანის შესახებ, ამასთან, რასაკვირველია, მათ ადგილობრივი პირობანიც უნდა მიიღონ მხედველობაში.

18 აგვისტოს გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი თეოდორე ლოგგინის ძე გეიდენი.

იმის სახსოვრად, რომ მოკავშირეთა ჯარმა ალყა შემოარტყა პეკინს, მედალი იქმნება მოჭრილი ასეთის ზედ-წარწერით: „კაცნი და არა გალავანნი ჰქმნიან ქალაქს".

**ტაკუ.** პეკინის გაძარცვას განაგრძობენ. ჩინელ-ქრისტიანეთა რაზმი თითქმის სამი თვე ჰმაგრობდა მეზობელ ქალაქ პაოტინფუში ჩინელ ჯარისა და „დიდის მუშტის" თავს დასხმისაგან და იცავდა იქ მყოფ ინგლისელ მისიონერებსა და ოჯახებს.

**ლონდონი.** 18 აგვისტოს რობერტსი დეპეშით იუწყება ბელფასტიდგან: მართლდება ხმა, რომ ჩინელებმა გაანთავისუფლეს 800 ტყვე ინგლისელი, მაგრამ აფიცრები ბარბერტონში უნდა დარჩნენ. ტყვეები იუწყებიან, რომ კრიუგერი, შტეინი, ბოტა, შელკ-ბურგერი და ლუკა მეიერი რკინის გზით ნელსპრუიტში წავიდნენო. ჯარის უფროსმა გრობლერმა, როგორც რობერტსი იუწყება, თავისთან მყოფი 34 ტყვე ინგლისელი პაქეტში გაჰგზავნა.


## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან; ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—17)



## უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა

დამზღვევ საზოგადოებაში

## „როსსია"-ში

საზოგადოება „როსსია" სასარგებლო პირობებით:

**აზღვევს კერძო კაცთ** ყოველ გვარ უბედურ შემთხვევისაგან, იმ პირობით, რომ ყველა მის მიერ შემოტანილი პრემია დაუბრუნდეს, და უამპიროპოდაც.

**აზღვევს მგზავრებს** რკინის გზებითა და ზღვით და მდინარეთა გზებით მოსიარულეთ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ერთის წლით და ნაკლების ვადითაც.

**აზღვევს ერთობილად** ყოველ გვარ უბედურ შემთხვევისაგან მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამრეწველო და საკომერციო საწარმოებლებში მოსამსახურეთ.

**აზღვევს ერთობილად** ფაბრიკებისა, ქარხნებისა, შენობებისა და სხვა სამრეწველო საწარმოებლების მუშათა.

მიეცემათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევათაგან სასყიდელი **4.500,000** მან. მეტი.

—მსურველთა განცხადება დაზღვევის შესახებ მიიღება და ყოველ გვარი ცნობები მიეცემა საზოგადოების გამგეობაში ს. პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, სკუთ. სახლი, № 37), საზოგადოების ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქში.

**მგზავრთა დაზღვევა** შეიძლება აგრეთვე **რკინის გზების** მთავარ-სადგურებზედ და გამ-ხომალდთა მთავარნავთ-სადგურებზედ. (6—149—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე